სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №1

ქ. თბილისი

10 დეკემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ, **შპს „მაგთიკომი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით და მეორეს მხრივ, **თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი,** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ თოფურიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის №1805 განკარგულების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

იტერნეტმომსახურეობის შესყიდვა - 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით CPV72400000

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ოპერატორი უზრუნველყოფს დამკვეთის მიერ მითითებული მისამართების TCP/IP შეერთებას და სხვა თანმდევი მომსახურებების გაწევას. მომსახურებების დასახელება და აღწერა (TCP/IP არხების(შემდგომში „არხები") რაოდენობა, არხის სიჩქარე და მომსახურების სახეები) მითითებულია დანართ #1-ში.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში ოპერატორი უზრუნველყოფს დამკვეთის მიერ მითითებულ და წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში მოცემულ დამკვეთის ოფისების ტერიტორიაზე ოპერატორის კუთვნილი საჭირო აპარატურის მონტაჟს.

1.3 დამკვეთი უზრუნველყოფს ოპერატორის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო აპარატურისთვის ფართის გამოყოფას, აპარატურის მონტაჟის ადგილებზე უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჭირო ნებართვის გაცემას.

1.4 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, ოპერატორის მიერ მიწოდებული და მის მიერ დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე დამონტაჟებული, თუ დამკვეთისათვის გადაცემული აპარატურა წარმოადგენს ოპერატორის საკუთრებას. ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული აპარატურა უბრუნდება ოპერატორს.

1.5 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული არსებული არხების მიხედვით მისამართები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

2. მხარეთა უფლება-ვალდებულებანი

2.1 "დამკვეთი" ვალდებულია:

2.1.1 საკუთარი და/ან მასთან გათანაბრებული ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს 1 მუხლში აღნიშნული კავშირის ინტერფეისი "ოპერატორის" აპარატურასთან. თუ ამ დროს ან შემდგომში დადგინდა, რომ "დამკვეთის" მიზეზით დაზიანდა "ოპერატორის" აპარატურა, დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს "ოპერატორს" მიყენებული ზიანი.

2.1.2 არხით სარგებლობისას და აპარატურის განთავსებისას მკაცრად დაიცვას მწარმოებლის მიერ დადგენილი აპარატურის ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმები, რომელიც დამკვეთს გადაეცემა ოპერატორის მიერ აპარატურის დამონტაჟების დროს, თუ მხარეები ხელშეკრულების ამ პუნქტისაგან განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდნენ.

ოპერატორი _____

დამკვეთი _____

2.1.3 ხელი შეუწყოს და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს ოპერატორს ქსელის მშენებლობის პროცესში.

2.1.4 განახორციელოს ოპერატორის მიერ დამკვეთისათვის გადაცემული აპარატურის მოვლა და დაცვა.

2.1.5 წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინოს ოპერატორს კონკრეტული არხის მიხედვით მისამართის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ.

2.1.6 დროულად აწარმოოს ანგარიშსწორება ოპერატორთან.

2.1.7 ნებისმიერ დროს დაუშვას და მისცეს საშუალება ოპერატორის უფლებამოსილ თანამშრომლებს განახორციელონ დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე დამონტაჟებული აპარატურის გეგმიური პროფილაქტიკური რემონტი თუ სხვა სამუშაოები.

2.2 "ოპერატორი" ვალდებულია:

2.2.1 უზრუნველყოს თავისი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და დროულად აღმოფხვრას შეფერხებები;

2.2.2 გადასცეს დამკვეთს კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო აპარატურა. თითოეული აღნიშნული აპარატურის გადაცემისას/მონტაჟისას თუ დემონტაჟისას მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.2.3 უზრუნველყოს N1 დანართში ჩამოთვლილი მომსახურებებით უზრუნველყოფა დანართ N2-ში მითითებული ტარიფებით, ასევე არხების მიმართულებებით დამკვეთის ოფისებს შორის კავშირი და მისცეს საშუალება დამკვეთს უზრუნველყოს ოპერატორის აპარატურის ინტერფეისი საკუთარ აპარატურასთან.

2.2.4 აპარატურისა და მოწყობილობების დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე განთავსებისას გაითვალისწინოს განთავსების ადგილისა და პირობების შესაბამისობა მათი მწარმოებლის მიერ დადგენილ ექსპლუატაციის ტექნიკურ ნორმებთან, ისევე როგორც უზრუნველყოს არხების შესაბამისობა ტექნიკურ ნორმებთან და პარამეტრებთან ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

2.2.5 არხების ჩართვა განახორციელოს მხარეთა შეთანხმებით. ხოლო ყოველი დამატებითი არხის ჩართვა განხორციელდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებით.

2.2.6 2.1.5 პუნქტის მიხედვით მიღებული შეტყობინების საფუძველზე მოახდინოს კონკრეტული წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილას დანართ #2-ში მითიებული ტარიფის შესაბამისად.

2.2.7 წინასწარ, ერთი დღით ადრე შეატყობინოს დამკვეთს ქსელზე ტექნიკური ან რაიმე სხვა სახის სამუშაოს ჩატარების შესახებ.

2.2.8 დაიცვას აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსის კონფიდენციალურობა მისი მოქმედების ვადის მთელ პერიოდში.

2.2.9 აწარმოოს ქსელის მუდმივი მონიტორინგი პრობლემების წინასწარ გამოვლენის და ქსელის და აპარატურის გამართული ფუნქციონირების მიზნით.

2.3 ოპერატორს უფლება აქვს შეაჩეროს ან/და გადაავადოს დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე აპარატურის მონტაჟი, ისევე როგორც არ მოახდინოს მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მისამართზე ტექნიკურად შეუძლებელია კავშირის უზრუნველყოფა ან თუ დამკვეთის მიერ არ შესრულდა 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2.4 დამკვეთის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება შეცვალონ ან სხვაგვარად მოახდინონ პარამეტრების მოდიფიცირება ოპერატორის აპარატურაზე წინასწარი შეტყობინების და ამ უკანასკნელის წარმომადგენელების თანდასწრების გარეშე.

ოპერატორი _____

დამკვეთი _____

3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული მომსახურებების უზრუნველოყოფის დეტალური საფასური თვეში განისაზღვრება დანართ #2-ში მოცემული განფასებებით ლარებში, დღგ-ს ჩათვლით.

3.2 მომსახურების ყოველი სახის მიწოდებისას მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3.3 მომსახურების უზრუნველყოფის საფასურს, დანართებში მითითებული არხების მიმართულებების და ფასების მიხედვით, "დამკვეთი" გადაუხდის ოპერატორს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 7(შვიდი) საბანკო დღეში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.2 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად მოშალონ ეს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე სისტემატურად (არაერთხელ) არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულების მოშლას, 3 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე მოშლა გავლენას არ ახდენს მისი მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებებზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი დამკვეთისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ და შესაძლო ზიანზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, გარდა განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისა, ისევე როგორც ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი დამკვეთისთვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ არაპირდაპირ ზიანზე, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერებაზე, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან ნაყოფის, ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

5.2 დამკვეთი, გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდის ოპერატორს, მოთხოვნის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს არ გადახდილი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

5.3 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. ასეთ შემთხვევაში, მხარეები სამი დღის ვადაში აცნობებენ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს. რის შემდეგაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით.

6. დავის გადაწყვეტა

სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 ამ ხელშეკრულების პირობები კონფიდენციალურია მესამე პირთათვის.

7.2 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

ოპერატორი _____ დამკვეთი _____

7.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ჯარიმის/პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზება ხორციელდება მხოლოდ ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ წინასწარი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. ხოლო მათი გამოყენების შემთხვევაში ჯარიმის/პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა/გამოანგარიშება ხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

7.4 მომსახურების სახეების, ისევე, როგორც არხების და წერტილების რაოდენობის და მათი მიმართულებების და ვადების ცვლილება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, ამ შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შედის ხელშეკრულების დანართში. აღნიშნულ შემთხვევაში, დამკვეთი წერილობით ატყობინებს მიმწოდებელს და აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის მიმწოდებლის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ.

7.5 ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამკვეთს, ერთი – ოპერატორს. ორივე პირს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

8. მხარეები

"ოპერატორი" - **მიმწოდებელი**	"დამკვეთი" - **შემსყიდველი**
შპს მაგთიკომი	**თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი**
ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ N7 ს/კ: 204876606	მის. ხარაგაული 9 აპრილის ქ. #15 ს/კ: 243570989
გენერალური დირექტორის მოადგილე	მუნიციპალიტეტის მერი
/ გია კოშორიძე /	/ნიკოლოზ თოფურიძე/

ოპერატორი _____

დამკვეთი _____

დანართი 1

გაწეული მომსახურების სახეები, არხების რაოდენობა და ადგილმდებარეობა

	ქალაქი	მისამართი	მომსახურება	სიჩქარე
1	ხარაგაული	სოფ. ხევი	ინტერნეტი	5 მბწმ
2				

"ოპერატორი" - **მიმწოდებელი**

შპს მაგთიკომი

ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ N7
ს/კ: 204876606

გენერალური დირექტორის მოადგილე

/ გია კუმორიძე /

"დამკვეთი" - **შემსყიდველი**

თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
მის. ხარაგაული 9 აპრილის ქ. #15
ს/კ: 243570989

მუნიციპალიტეტის მერი

/ ნიკოლოზ თოფურიძე/

ოპერატორი _____

დამკვეთი _____

დანართი 2

მომსახურების სახეები და ტარიფები

ფასები მოცემულია ლარებში (დღის ჩათვლით)

	TCP/IP მომსახურების სიჩქარე	ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი, ლარი დღგ-ს ჩათვლით	წერტილის გადატანის გადასახადი, ლარი დღგ-ს ჩათვლით
1	5 მბ/წმ	500	300

- ტექნიკური ჯგუფის გამოძახება ოპერატორის ბრალეულობით გამოწვეული ხარვეზის შემთხვევაში - უფასო
- ტექნიკური ჯგუფის გამოძახება დამკვეთის ბრალეულობით გამოწვეული ხარვეზის შემთხვევაში - 300 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

"ოპერატორი" - მიმწოდებელი

შპს მაგთიკომი

ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ N7
ს/კ: 204876606

გენერალური დირექტორის მოადგილე

/ გია კოშორიძე /

"დამკვეთი" - შემსყიდველი

თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
მის. ხარაგაული 9 აპრილის ქ. #15
ს/კ: 243570989

მუნიციპალიტეტის მერი

/ ნიკოლოზ თოფურიძე/

ოპერატორი _____

დამკვეთი _____

დანართი 3

ქსელის ფუნქციონირების/კავშირის შეწყვეტის ან ამ ქსელთან დაკავშირებული სხვა პრობლემების დაფიქსირების პროცედურა:

მაგთიკომის მიერ დამკვეთისთვის გაწეული მომსახურების ფარგლებში ნებისმიერი სახის ინციდენტის წარმოშობის შემთხვევაში, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი უგზავნის წარმოშობილი ინციდენტის შესახებ ინფორმაციას შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე support@magtinet.ge.
პასუხად, შემსრულებლის წარმომადგენელი შემსყიდველს უგზავნის ინფორმაციას ინციდენტის სტატუსის შესახებ შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე ichka84@yahoo.com

"ოპერატორი" - **მიმწოდებელი**	"დამკვეთი" - **შემსყიდველი**
შპს მაგთიკომი	**თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი**
ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ N7 ს/კ: 204876606	მის. ხარაგაული 9 აპრილის ქ. #15 ს/კ: 243570989
გენერალური დირექტორის მოადგილე	მუნიციპალიტეტის მერი
/ გია კოშორიძე /	/ ნიკოლოზ თოფურიძე/

self governing unit Kharagauli municipality

Digitally signed by self governing unit Kharagauli municipality
Date: 2019.01.11 15:28:42 +04'00'

ოპერატორი _____

დამკვეთი _____